



სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის საბაკალავრო პროგრამების
განხორციელების წესი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის საბაკალავრო პროგრამების
განხორციელების წესი

გორი
2018 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ბაკალავრიატი – სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში (შემდგომში - აკადემია) აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისა და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.

2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 (ECTS) კრედიტისა, რაც ნაწილდება პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებულ ყველა კომპონენტს შორის.

3. აკადემიაში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მინიმალური ვადაა 4 წელი;

4. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები, სპეციალობების მიხედვით მუშავდება და ხორციელდება ბაკალავრიატში ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისად.

5. ბაკალავრიატში სწავლა/სწავლების სისტემა ეყრდნობა აკადემიის წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მუხლი 2. ბაკალავრიატის მიზნები

1. ბაკალავრიატში სწავლის მიზანი – შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლება, სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის მომზადებასთან ერთად სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისება, რაც ამზადებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა და მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

მუხლი 3. ბაკალავრიატის ამოცანები

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნებზე ორიენტირებული აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება.

2. იუნკერზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა.

3. ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება, შეფასებისა და ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) დანერგვა.

მუხლი 4. ბაკალავრიატში მიღება

ბაკალავრიატის იუნკერის სტატუსის მოპოვება, შეჩერება და შეწყვეტა რეგულირდება აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (მუხლი 3, 9,10).

მუხლი 5. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

1. იუნკერის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან ან/და იუნკერის ინდივიდუალური დატვირთვიდან (გეგმიდან) გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

2. აკადემიაში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- ძირითადი სპეციალობა;
- დამატებითი სპეციალობა;
- თავისუფალი კრედიტები;

3. ძირითადი სპეციალობა (არანაკლებ 120 კრედიტისა, რეგულირებადი

სპეციალობის შემთხვევაში - საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობის არანაკლებ 75%-სა), რომელშიც პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

4. დამატებით სპეციალობაში არ ხდება აკადემიური ხარისხის მინიჭება, დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლით მიღწეული ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები, შესწავლილი სასწავლო კურსები, მიღებული კრედიტები და შეფასებები აისახება კურსდამთავრებულის დიპლომის დანართში.

5. პროგრამის თავისუფალ კომპონენტში მოიაზრება საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსები და თავისუფალი კრედიტები (თუ პროგრამის სასწავლო გეგმა ითვალისწინებს თავისუფალ კრედიტებს). თავისუფალი კრედიტების არჩევა იუნკერებს შეუძლია აკადემიის სხვა საბაკალავრო პროგრამიდან ან შესაძლებელია აღნიშნული კრედიტების ფარგლებში გაიარონ უცხოური ენა ან/და სხვა სასწავლო კურს(ებ)ი. (შეზღუდვას წარმოადგენს შესწავლის წინაპირობის არსებობა).

6. პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არჩევითი კურსების შეთავაზებით უზრუნველყოფილია არჩევითობის პრინციპის დაცვა.

მუხლი 6. სწავლის შედეგების შეფასება

1. იუნკერის ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 8 სექტემბრის №1259 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო და სამხედრო სასწავლო დაწესებულებებში გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციის“ შესაბამისად.

2. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა-ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

3. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60% ქულა;

4. შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ იუნკერს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. იუნკერის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო;

5. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

6. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.

იუნკერის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;

7. შეფასების თითოეული ფორმა უნდა მოიცავდეს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც უნდა მოიცავდეს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილი უნდა იყოს სილაბუსებში.

8. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შუალედური გამოცდის და შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი განსაზღვრულია 30%-ით, დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი განსაზღვრულია 40%-ით. (ძალაში შედის 2019-2020 სასწავლო წლიდან).

საბაკალავრო ნაშრომის დასკვნითი შეფასების სასწავლო კომპონენტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრით წილად განსაზღვრულია 50%. სასწავლო კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე კომპონენტის განმახორციელებელი/სილაბუსის ავტორი უფლებამოსილია სასწავლო კურსის სილაბუსში დაადგინოს მოცემული წესისაგან განსხვავებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შემდეგი მოთხოვნის დაცვით: დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. შესაძლებელია შეფასების კომპონენტშიც განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

9. იუნკერს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე სასწავლო კურსში - FX- შეფასების მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

10. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

11. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, იუნკერს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

12. იუნკერის შეფასება რეგულირდება აკადემიის უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხურზე გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად.

მუხლი 7. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები. კურსდამთავრებულის კომპეტენციები. აკადემიური ხარისხი. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

1. ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის აღმწერზე და დარგობრივ მახასიათებლებზე (არსებობის შემთხვევაში) დაყრდნობით, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის და პოტენციური დამსაქმებლების და დარგის სპეციალისტების მოსაზრებების გათვალისწინებით ხდება კონკრეტული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერი განსაზღვრავს უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატში) ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების დონეს და მოიცავს 6 კრიტერიუმს:

ა) ცოდა და გაცნობიერება - სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

გ) დასკვნის უნარი - სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;

დ) კომუნიკაციის უნარი - იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება;

ე) სწავლის უნარი - საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და

მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;

ვ) ღირებულებები - ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა;

2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს მიენიჭება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. მისანიჭებელი კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს „ბაკალავრი“ შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.

მუხლი 8. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

1. უმაღლესი აკადემიური განათლების საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის მთლიანი სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიანგარიშება ყველა საგნის შეფასებათა საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელი, რის მიხედვითაც აკადემია კურსდამთავრებულებს აძლევს შემდეგი ხარისხის დიპლომებს:

ა) ათვისებული კრედიტების 75% A შეფასება, ხოლო 25% B ან C შეფასება – წარჩინების დიპლომი;

ბ) ყველა საგანში დადებითი შეფასება - ჩვეულებრივი დიპლომი.

2. საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდგომ ითვლება დიპლომის GPA. GPA (საშუალო შეწონილი ქულა, რომელიც გამოითვლება იუნკერის მიერ სასწავლო კურსებში მიღებული შეფასებების კოეფიციენტზე ნამრავლების ჯამი, გაყოფილი ამავე სასწავლო კურსების კრედიტების ჯამზე.)

კოეფიციენტი	შეფასება	ქულა
4,00	A	95%-100%
3,50	A-	91%-94%
3,25	B+	87%-90%
3,00	B	84%-86%
2,75	B-	81%-83%
2,50	C+	77%-80%
2,25	C	74%-76%
2,00	C-	71%-73%
1,50	D	66%-70%
1,25	D-	61%-65%
1,00	E	51%-60%
	FX	41%-50%
	F	<40%

მუხლი 9. ბაკალავრიატის დაფინანსება.

აკადემიაში სწავლა ფინანსდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

ამ დოკუმენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.